სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი #02-15; 31.03.2015

განახლებული რედაქციით დამტკიცებულია:

აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი #03-16; 23.12.2016

აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი #03-21; 05.04.2021

აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი #05-22; 07.09.2022

აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი #09-22; 21.12.2022

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულება

თბილისი

2022

მუხლი 1. დებულების სამართლებრივი საფუძველი. რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება შემუშავებულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის და შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული როგორც „უნივერსიტეტი“) დებულების საფუძველზე. წინამდებარე დებულება არეგულირებს უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით კონკურსის ჩატარების წესს, კონკურსის პირობებს, მოთხოვნებს, კრიტერიუმებს და კონკურსის ჩატარებასთან სხვა დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 2. აკადემიური პერსონალი

აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორისაგან, ასოცირებული პროფესორისაგან, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტისაგან. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესში ან/და წარმართავენ მათ. ასისტენტი, პროფესორის, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით, ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

მუხლი 3. აკადემიური თანამდებობის დაკავება. კონკურსის ჩატარების პრინციპები

აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

მუხლი 4. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები. კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმები

4.1. აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილ საკონკურსო მოთხოვნებს და აქვს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი შესაბამისი კვალიფიკაცია. ასეთი

კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

4.2 ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე პირი შეიძლება აირჩეს პროფესიული ნიშნით. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

4.3. პროფესიული ნიშნით კონკურსის გამოცხადებისათვის, შესაბამისმა ფაკულტეტმა განცხადებით უნდა მიმართოს აკადემიურ საბჭოს, სადაც დასაბუთებული იქნება პროფესიული ნიშნით აკადემიური პერსონალის შერჩევის აუცილებლობა. აკადემიური საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, ფაკულტეტს აქვს უფლება შუამდგომლობით მიმართოს რექტორს პროფესიული ნიშნით აკადემიური კონკურსის გამოცხადების თაობაზე.

4.4. კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ პირობებს, რაც წარმოადგენს საკონკურსო საბუთების განხილვის წინაპირობას. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეიმუშაოს და გამოიყენოს კონკურსის დამატებითი მოთხოვნები. კანონმდებლობით დადგენილ პირობებთან შეუსაბამობა, შესაბამისი კვალიფიკაციის და/ან პროგრამით/პროგრამის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენციის არარსებობა და კონკურსის პირობების შეუსრულებლობა არის საკონკურსო საბუთების განხილვაზე ან/და კონკურსანტისთვის საკონკურსო თანამდებობის დაკავებაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 5. აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები

5.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულებით განსაზღვრულ დამატებით მოთხოვნებს;

5.2. ასოცირებული-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად: თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულებით განსაზღვრულ დამატებით მოთხოვნებს;

5.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი და რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულებით განსაზღვრულ დამატებით მოთხოვნებს;

5.4.ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი.

ასისტენტი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში თავისუფლდება აკადემიური თანამდებობიდან, თუ მას შეუწყდა სტუდენტის სტატუსი და ეს არ არის დაკავშირებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებასა და აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან.

6. პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები

6.1.ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც გააჩნია არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში, წამყვან თანამდებობებზე პრაქტიკულ მოღვაწეობასთან და რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულებით განსაზღვრულ დამატებით მოთხოვნებს;

6.2.ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც გააჩნია არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში, წამყვან თანამდებობებზე პრაქტიკულ მოღვაწეობასთან;

მუხლი 7. მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები. კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმები

7.1. აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები

7.1.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულებით განსაზღვრულ დამატებით მოთხოვნებს);

დამატებით კლინიკურ მიმართულებაზე:

- სულ მცირე ბოლო 9 წლის კლინიკური გამოცდილება;
- შესაბამისი სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი.

7.1.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს პედაგოგიური მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება და რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულებით განსაზღვრულ დამატებით მოთხოვნებს;

დამატებით კლინიკურ მიმართულებაზე:

- სულ მცირე ბოლო 5 წლის კლინიკური გამოცდილება;
- შესაბამისი სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი.

7.1.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

დამატებით კლინიკურ მიმართულებაზე:

- სულ მცირე ბოლო 3 წლის კლინიკური გამოცდილება;
- შესაბამისი სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი.

7.1.4. ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი.

დამატებით კლინიკურ მიმართულებაზე:

- სულ მცირე ბოლო 3 წლის კლინიკური გამოცდილება;
- შესაბამისი სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი.

7.2. პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები

7.2.1. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც გააჩნია არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში, წამყვან თანამდებობებზე პრაქტიკულ მოღვაწეობასთან და რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულებით განსაზღვრულ დამატებით მოთხოვნებს;

დამატებით კლინიკურ მიმართულებაზე:

- სულ მცირე ბოლო 5 წლის კლინიკური გამოცდილება;
- შესაბამისი სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი.

7.2.2. ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც გააჩნია არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში, წამყვან თანამდებობებზე პრაქტიკულ მოღვაწეობასთან.

დამატებით კლინიკურ მიმართულებაზე:

- სულ მცირე ბოლო 3 წლის კლინიკური გამოცდილება;
- შესაბამისი სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი.

7.3. ინგლისური ენი კომპონენტი

7.3.1. ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელებისთვის კონკურსანტები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე, 3 წლის გამოცდილება;

ან

- საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში ინგლისურ ენაზე საექიმო საქმიანობის განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;

ან

- საზღვარგარეთ მოქმედ კვლევით დაწესებულებაში ბიომედიცინის მიმართულებით სასწავლო/კვლევითი საქმიანობის ინგლისურ ენაზე განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;

ან

- ინგლისურენოვანი დიპლომამდელი ან დიპლომისშემდგომი პროგრამის დასრულება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით;

ან

- ინგლისური ენის, სულ მცირე, B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert, EnglishScore და სხვ.).

8. დამატებითი კრიტერიუმები

8.1. უნივერსიტეტი, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, უფლებამოსილია განსაზღვროს საკონკურსო მიმართულება/სპეციალობა/სპეციალიზაცია ან სხვა, საკონკურსო აკადემიური თანამდებობები, ვაკანტური ადგილების რაოდენობა, შეიმუშაოს და გამოიყენოს კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმები კონკურსანტთა შეფასებისა და გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენის მიზნით და სხვა.

8.2. კონკურსანტთა შეფასება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი დამატებითი კრიტერიუმების გამოყენებით:

8.2.1. აკადემიური ნიშნით შერჩევისას: (დანართი 1)

- სასწავლო კურსის სილაბუსი;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები/პუბლიკაციები;
- საერთაშორისო გამოქვეყნებები;

- გასაუბრება;
- საჩვენებელი ლექცია/სასწავლო კურსის პრეზენტაცია;

8.2.2.პროფესიული ნიშნით შერჩევისას: (დანართი 2)

- სასწავლო კურსის სილაბუსი;
- მიღწევები პროფესიულ საქმიანობაში
- სწავლების გამოცდილება
- ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები/პუბლიკაციები;
- გასაუბრება;
- საჩვენებელი ლექცია/სასწავლო კურსის პრეზენტაცია

8.3. ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების ჯამური შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. თუ კონკურსის ჩატარებისას არ არის გათვალისწინებული სასწავლო კურსის კონცეფციის ზეპირი პრეზენტაცია, მისი ქულა გადანაწილდება კონკურსანტის შეფასების სხვა კრიტერიუმებზე 100-ქულიანი სისტემის ფარგლებში.

8.4. კონკრეტული კონკურსის დროს გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები, ამ კრიტერიუმებისათვის მინიჭებული მაქსიმალური ქულების ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი კონკურსის გამოცხადების აქტით. ამავე აქტით შეიძლება დადგინდეს მინიმალური ზღვარი-ქულათა უმცირესი რაოდენობა, რომელიც უნდა გადალახოს კონკურსანტმა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. (დანართი 3)

8.5. გამარჯვებული კონკურსანტი. კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის კონკურსანტები, რომლებმაც (საკონკურსო ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით) დააგროვეს მეტი შემაჯამებელი საკონკურსო ქულები. ერთი და იგივე აკადემიურ თანამდებობაზე ორი ან მეტი კანდიდატის მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, საკონკურსო კომისია საკითხს გადაწყვეტს ხმათა უმრავლესობით საკითხის ღია კენჭისყრაზე დაყენებით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

8.6. კონკურსის ჩატარებისას დასაშვებია მხოლოდ კონკურსანტებისთვის წინასწარ ცნობილი საკონკურსო მოთხოვნების და კრიტერიუმების გამოყენება და სავალდებულოა გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვა.

მუხლი 9. კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

9.1. გადაწყვეტილება კონკურსის გამოცხადების შესახებ.

უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსი ცხადდება ფაკულტეტის დეკანის მოთხოვნის საფუძველზე ან რექტორის ინიციატივით. კონკურსის გამოსაცხადებლად ფაკულტეტი ამზადებს შუამდგომლობას რექტორის სახელზე და რექტორის თანხმობის შემდეგ, აკადემიური პერსონალის შესარჩევად კონკურსის გამოცხადებას და მის ორგანიზაციას უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. კონკურსი, აკადემიური თანამდებობის შესარჩევად ცხადდება რექტორის ბრძანებით, სადაც მიეთითება იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც საკონკურსო კომისიის სახელზე უნდა წარმოადგინონ კონკურსანტებმა. ბრძანებაში აისახება კონკურსის გამოცხადების თარიღი, განცხადებების მიღების ბოლო ვადა და ის კრიტერიუმები, რომლითაც მოხდება კანდიდატების შეფასება და შერჩევა. რექტორის ბრძანებაში მიეთითება საკონტაქტო პირის ვინაობა, რომელიც დაინტერესებულ პირებს მიაწვდის ინფორმაციას კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ. რექტორის ბრძანებით განისაზღვრება დროებითი საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, რომელიც იქმნება კონკურსის ჩატარბის ვადით.

9.2. კონკურსის შესახებ ინფორმაცია და მისი გამოქვეყნება.

საკონკურსო საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე ინფორმაცია კონკურსის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, დასაქმების ცნობად ვებგვერდ(ებ)ზე და/ან რომელიმე პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაში, რომელიც ვრცელდება ქვეყნის მასშტაბით. ინფორმაციაში კონკურსის შესახებ მოიაზრება: კონკურსის ძირითადი პირობები, საკონკურსო მიმართულებები/სპეციალობები/სპეციალიზაციები ან სხვა, საკონკურსო

აკადემიური თანამდებობები, ვაკანტური ადგილების რაოდენობა, წარსადგენი დოკუმენტები, საბუთების მიღების დაწყების და დასრულების, კონკურსის შედეგების გამოცხადების თარიღი, საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა და ვებგვერდი) და სხვა. კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებულ პირებს/კონკურსანტებს შეუძლიათ ელექტრონული ფოსტის მისამართზე წერილის გაგზავნით ან/და მითითებულ ტელეფონის ნომერზე დარეკვით მიმართონ უნივერსიტეტს და მიიღონ/დააზუსტონ კონკურსთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია.

9.3. კონკურსის ეტაპები და ვადები.

1) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კონკურსის გამოცხადება: დასაქმების ცნობად ვებგვერდ(ებ)ზე და/ან რომელიმე პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაში ინფორმაციის გამოქვეყნება და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება; 2) საკონკურსო საბუთების მიღების დაწყება: კონკურსის საჯარო გამოცხადებიდან (გამოქვეყნებიდან) არაუადრეს ერთი თვისა. საბუთების მიღება - არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღე; 3) საკონკურსო კომისიის მუშაობა (საკონკურსო საბუთების განხილვა და, თუ ეს კონკურსით არის გათვალისწინებული, პრეზენტაციის/გასაუბრების ჩატარება) - საბუთების მიღების დასრულებიდან 1-დან (ერთიდან) 7 (შვიდი) სამუშაო დღემდე 5) კონკურსის შედეგების გამოცხადება - საკონკურსო კომისიის მუშაობის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღე.

9.4. საკონკურსო საბუთები.

კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს კონკურსის გამოცხადების აქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

9.5. საკონკურსო საბუთების ჩაბარება.

საკონკურსო საბუთების წარდგენა შესაძლებელია უნივერსიტეტის მითითებულ მისამართზე მიტანით ან ელექტრონული ფორმით (საკონკურსო საბუთების და ხელმოწერილი ფორმების ელ. ვერსიების ფორმატი *.pdf , *.tif ან სხვ.). თუ საბუთების წარდგენა ხდება ელექტრონულად, მაშინ საბუთების გაგზავნის შემდეგ კონკურსანტი მიიღებს შეტყობინებას არსებული ხარვეზების ან საკონკურსო

საბუთების მიღების და სარეგისტრაციო ნომრის შესახებ. ასეთი შეტყობინების არარსებობის შემთხვევაში საბუთების გაგზავნიდან არაუგვიანეს 1 დღეში, დაინტერესებული პირი ვალდებულია საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე ან ელ. ფოსტის მეშვეობით დაუკავშირდეს უნივერსიტეტს, დააზუსტოს საბუთების მიღების ფაქტი და სარეგისტრაციო ნომერი. საბუთების მიღებისას, არ მოხდება საკონკურსო საბუთების და საბუთებში მითითებული ინფორმაციის სისწორის და შინაარსის შემოწმება. საბუთების მიღება გულისხმობს მხოლოდ საკონკურსო საბუთების მიღებასა და აღრიცხვას.

9.6. საკონკურსო საბუთების მიღება.

საბუთების მიღებისას ხდება საკონკურსო საბუთების დალუქვა (დალუქულ კონვერტს ხელს აწერენ საბუთების მიმღები და წარმდგენი პირები) და აღრიცხვა სპეციალურ (ზონარგაყრილ და დალუქულ) სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც იხსნება საკონკურსო საბუთების მიღების პირველ დღეს და იხურება საკონკურსო საბუთების მიღების ბოლო დღეს (ერთიანი ჟურნალის წარმოების შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ ჩანაწერი კეთდება ყოველ კონკურსზე საბუთების მიღების დასრულებისთანავე). ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარმოდგენილი საბუთების შემთხვევაში, კონვერტზე შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ კეთდება შესაბამისი ჩანაწერი დოკუმენტების ელექტრონული სახით წარმოდგენის შესახებ. სარეგისტრაციო ჟურნალი და საკონკურსო საბუთები გადაეცემა საკონკურსო კომისიას მუშაობის დაწყებისთანავე.

9.7. საკონკურსი საბუთები მიღებიდან 1 წლის განმავლობაში იქნება შენახული უნივერსიტეტის მიერ, შემდეგ ექვემდებარება განადგურებას.

9.8. საკონკურსო კომისია. საკონკურსო კომისია იქმნება რექტორის ბრძანებით, სადაც განისაზღვრება საკონკურსო კომისიის მუშაობის ვადები, შემადგენლობა - თავმჯდომარის, წევრთა ვინაობა და რაოდენობა (არანაკლებ 3 წევრისა, კომისიის თავმჯდომარის ჩათვლით), საკონკურსო კომისიის მდივნის ვინაობა. თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას და თავმჯდომარეობს სხდომებს. საკონკურსო კომისიის მდივანი არის უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მენეჯერი. კომისიის მდივანი (სხდომების მდივანი) არის კომისიის

წევრი და მონაწილეობს კენჭისყრაში. საკონკურსო კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატული აქტების და წინამდებარე დებულების საფუძველზე. საკონკურსო კომისია დროებითია, იქმნება წინასწარ კონკურსის ჩატარების ვადით.

9.9. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი.

საკონკურსო საბუთების შესწავლა. საკონკურსო კომისია ვალდებულია განიხილოს კონკურსზე წარდგენილი საბუთები, შეაფასოს ინფორმაცია კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმებით, ასახოს შედეგები საკონკურსო საბუთების განხილვის ფორმებში. ფორმები მტკიცდება რექტორის აქტით. კომისიის მუშაობა ფორმდება საოქმო წარმოების ფორმით. საკონკურსო საბუთების განხილვის წინაპირობა არის კონკურსანტის შესაბამისობა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პირობებთან;

▪ საკონკურსო კომისიის ყველა სხდომა არის დახურული;

▪ საკონკურსო კომისიის ყველა წევრი კერჭისყრისას სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით, გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, კენჭისყრის შედეგების შესაბამისად. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება არანაკლებ წევრთა 2/3; კომისიის წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს კენჭრისყრაში მონაწილეობისა და ხმის მიცემისაგან.

▪ საჭიროების შემთხვევაში, ამა თუ იმ სპეციფიკური საკითხის ობიექტურად შესწავლის და გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის სხდომაზე (კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე) შესაძლებელია სპეციალური კომპეტენციის მქონე პირების, ექსპერტების, დარგის სპეციალისტების და სხვ. მოწვევა;

- საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგები აისახება კომისიის მუშაობის ოქმებში. საკონკურსო კომისიის ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს: სხდომის ჩატარების თარიღი და ადგილი; სხდომაზე დამსწრე პირთა ვინაობა - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები, სხდომის მდივანი და სხდომაზე მოწვეული პირები (არსებობის შემთხვევაში);

დღის წესრიგი; მომხსენებლების ვინაობა; გამოთქმული მოსაზრებები/კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილებები. სხდომის ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი;

▪ საკონკურსო კომისიის მუშაობის ბოლო ეტაპზე დგება საკონკურსო კომისიის მუშაობის - **კონკურსის შემაჯამებელი ოქმი (დანართი 4)** (რამდენიმე სხდომის ჩატარების შემთხვევაში), სადაც მითითებულია კონკურსის შედეგები და კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტების ვინაობა (აკადემიური თანამდებობების და მიმართულების/სპეციალობის/სპეციალიზაციის მითითებით). ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. კომისიის თავმჯდომარე, კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისი შუამდგომლობით მიმართავს რექტორს. შუამდგომლობას ერთვის ოქმი;

▪ კომისიის სხდომის ოქმში ასახული გადაწყვეტილება კონკურსანტისთვის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევაზე უარის თქმის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული და ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირისთვის კონკურსის შედეგების გამოცხადებისთანავე;

▪ გამოცხადებულ ვაკანსიაზე კონკურსანტების არარსებობის ან გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენის შეუძლებლობის (კონკურსის პირობებთან ყველა კონკურსანტის შეუსაბამობის) შემთხვევაში დგება ოქმი კონკურსის არშემდგარად გამოცხადების შესახებ.

9.10. კონკურსის შედეგები.

კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის კონკურსანტი, რომელმაც საკონკურსო ვაკანსიების რაოდენობის გათვალისწინებით დააგროვა ყველაზე მეტი შემაჯამებელი საკონკურსო ქულა. შემაჯამებელი საკონკურსო ქულა დგინდება, საკონკურსო კომისიის თითოეული წევრის მიერ, თითოეული კონკურსანტისათვის მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით. კონკურსის შედეგების ამსახველი ოქმი, შესაბამისი შუამდგომლობით გადაეცემა უნივერსიტეტის რექტორს, რის საფუძველზეც გამოცემა ბრძანება აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. კონკურსის შედეგები ძალაში შედის რექტორის ბრძანებაში მითითებული წესით. გამარჯვებულ კონკურსანტებს

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაუფორმდებათ შრომითი ხელშეკრულებები და ისინი მიჩნეულ იქნებიან უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალად. პროფესორი აკადემიური თანამდებობაზე აირჩევა საშუალოდ 8 (რვა), 10 (ათი) წლის ვადით ან უვადოდ, ასოცირებული პროფესორი აკადემიურ თანამდებობაზე აირჩევა 6 წლის ვადით, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი აკადემიურ თანამდებობაზე აირჩევა 4 (ოთხი) წლის ვადით.

9.11. კონკურსის შედეგების გასაჩივრება.

კონკურსის შედეგები ძალაში შედის დადგენილი წესით გამოცხადებისთანავე. აქტში უნდა მიეთითოს შედეგების გასაჩივრების ვადა, შესაბამისი სტრუქტურული ერთეული და მისამართი. შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში, საჩივარი უნდა იყოს არგუმენტირებული და წერილობითი ფორმით წარ-მოდგენილი. საჩივრებს განხილვავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. აღნიშნულ საკითხზე აკადემიური საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა ეკრძალება საკონკურსო კომისიის წევრს, რომელიც იმავდროულად არის აკადემიური საბჭოს წევრი. საბჭო განიხილავს ყველა შემოსულ საჩივარს ინდივიდუალურად, საკონკურსო დოკუმენტების და საჩივარში მითითებული არგუმენტაციის შესწავლით (შესაძლებელია საკონკურსო კომისიის წევრების და დაინტერესებული პირის მოწვევა და მათი მოსაზრებების გაცნობის მიზნით).

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1.უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების წევრები და კონკურსის საორგანიზაციო, ტექნიკურ და საინფორმაციო უზრუნველყოფაში ჩართული უნივერსიტეტის თანამშრომლები მოქმედებენ წინამდებარე დებულების საფუძველზე და ვალდებულნი არიან დაიცვან შესაბამისი წესები, ხოლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია მისცეს მათ ამ წესების გაცნობის შესაძლებლობა;

10.2. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის მიზნით გამოცხადებული კონკურსის კონკურსანტები/კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებული პირები

ხელმძღვანელობენ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესებით, ხოლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა მისცეს მათ ამ წესების გაცნობის შესაძლებლობა;

10.3. წინამდებარე დებულების მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;

10.4. წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანი აქტის ან სხვა მუხლების/პუნქტების ბათილად ცნობას;

10.5. ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

10.6. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე გამოცხადებულ და მოქმედ კონკურსებზე ვრცელდება ამ დებულების ამოქმედებამდე მოქმედი წესები

დანართი 1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატთა შეფასების ფორმა (აკადემიური ნიშნით)

დანართი 2. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატთა შეფასების ფორმა (პროფესიული ნიშნით)

დანართი 3: შეფასების კრიტერიუმები

დანართი 4. შემაჯამებელი ფორმა

დანართი 5: გასაუბრებაზე კანდიდატის შეფასების ფორმა https://forms.gle/7ys2Z6UidsJdag3fA